ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

№ 12

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, — 15 ᲛᲐᲘᲡᲘ, — 1911 ᲬᲔᲚᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲥᲣᲩᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲘ

რედაქციისაგან.

რადგან გაზ. „შინაური საქმეები“ სამღვდელოებამ საკალდებულოთ დაიდგინა და ეს დადგენილება დამტკიცებულ იქმნა მისი მეუფებისაგან, რედაქცია ამით აცხადებს, რომ თითეულ საბლაღოჩინოში ორ ულარიბეს ეკკლესიას გაზეთი უფასოთ დაეთმობა და გაეგზავნება ბლაღოჩინის სასელზე. დანარჩენ სელის მოწერლებს გაზეთი იმ ადრესით გაეგზავნება, რომელსაც გვაცნობებენ. გაზეთი არავის გაეგზავნება, თუ ფასი სრულათ არ შემოიტანა. ვთხოვთ ყველას ადრესი მოკლე, მაგრამ ზედმიწევნით სწორი, გვაცნობოს. ვისაც გაზეთის დაზღვევა მთელი წლით სურს, იანვრიდგან დაწყებული, ვთხოვთ, დაუჩქაროს, რადგან წასული თვეების ნომრები ბევრი აღარ გვაქვს დარჩენილი. პირველი მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი 2 მანეთი ეღირება

სამღვდელოების ავ-კარგი.

მძიმე და აუტანელია სამღვდელოების ახლანდელი ყოფა-ცხოვრება: ბევრს საკონ-ბოროტო კითხვასა და მოკლენას წარმოუყენია თავი თანამედროვე მოთხოვნილებათა თანახმად და ხმა მაღლა ითხოვს გარკვეულსა და ფხიზელს მასუხს, მაგრამ სამღვდელოება ჩვეულებრივი გულ-გრილობითა და უდარდელობით შეეურების ზეცას და სსნას ჩრდილოეთით მოელის. ის კი არ იცის, რომ მსსნელი თვით მასშიგე უნდა გამოსახოს და დაიბადოს. სამღვდელოება ერიდება სინამდვილეს თვალი გაუსწორონ და რაღაც ოცნებას ეძღვევა, ერიდება ისაღოს თავის საკუთარი სახე და ამიტომ ბევრ თავის სიმახინჯეს აფუჩეჩებს. მაგრამ რადემდის?! ჭირი თავს არ დაიმალავს. ადრე იქნება, თუ გვიან, სამღვდელოება მაინც უნდა გაუსწორდეს ცხოვრების მოთხოვნილებას და პირის-პირ წარდგეს მის წინაშე. დიახ, ერთხელაც იქნება სელში უნდა აიღოს უტუკარი სარკე და ჩვენი განზრახვაც ესაა, მივიხედოთ იგი მას, სოდო უგვანი ადამიანი არ იყოს, მისი სუბია, ისარგებლებს ამ სარკით, თუ ამ სტრიქონების დამწერს „გიეა,“ „ოხერია“-ს დაუძახებს. ამ უამად ჩვენ გვინდა ვეღაპარაკოთ მის არჩევნების შესახებ და წინ-და-წინვე ბოდიშს ვისდი, თუ ენებლიეთ ვისმე კაწუენინებო, თუმცა, ჩვენს ფიქრით, აქ საწყენი არაფერია.

როგორც მოგეხსენებათ, 28 მარტიდან 1907 წლისა საქართველოს საეგზარხოსოში უწმინდესი სინოდის ბძანებით შემოღებულია ეკრედ წოდებული ადრჩევითი წესი. ადრჩევა ხდება ბლაღოჩინებისა, მღვდლებისა და მედაკითნეებისა.

უკელას მოეხსენება აგრეთვე ამ ბძანების (უქაზის) გაჩენის ნამდვილი ისტორია და ამიტომ მის შესახებ აქ ვრცლად არაფერს კიტუკით. მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელზეც სელი შეუწეო მის გამოცემის და ამ რიგად თავზე მოიხვია სამღვდელოებას ასეთი შეუფერებელი არჩევნები მისი სურვილის წინააღმდეგ.

1906 წელსა, 11—14 ოქტომბერს, ქ. თფილისში თავი მოიყარა ოთხმა ქართველმა მღვდელმთავარმა და კერძო ადამიანზე გადწყვიტეს, გამოითხოვონ მთავრობისაგან ადრჩევითი წესი მაინც, რაკი საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიის საკითხმა სულ სხვა ხასიათი მიიღო და უომელო გარემოებაში იქმნა ჩაყენებული. შეშფოთდა, მღვდელ-მთავრები ფიქრობდენ, რომ სასიკეთო და სასარგებლო იქნებოდა ეს არჩევითი წესი სალხისა და სამღვდელოებისათვის, მა-

გრამ მწარედ მოსტეხილან. რამდენად სიგითლო შეიქმნა იგი ერთისა და მეორისათვის, ამას ცხადეოფენ ის აუარებელი ფაქტები, რომელთაც ეოველი ჩვენგანი თავის ბედნიერი თვალით ხედავს და თვით განიცდის. ჩვენ ამ გარემოებას ხაზს ვსვამთ არა იმისათვის, რომ მთელი ბრალდება მაშინდელ ქართველ მღვდელ-მთავრებს მოვახვიოთ თავზე,—დმერთმა დაგვიფაროს და ეს არც ეკადრებათ მათ მეუფებათ ჩვენგან! მაგრამ ამაზე კი გული გვტეივა, რომ დღეს სრულებით ხელს არ უწყობენ ამ არჩევნების თუ სრულ გაუქმებას არა, გაუმჯობესობის მაინც. ჩვენის ფიქრით ერთიცა და მეორეც ადვილი მოსახერხებელია, რომ მოხდომება იეოს და გულშემატკივრობა მათის მხრით. სამღვდელოებაც დამორჩილებია თავისს ბედს და გულ-ხელ დაკრეფილი შეეურებს ამ ეკულმართობას, თითქოს ეს სიკითხი მას სრულებით არ ეხებოდეს. მეტი სიფრთხილე ქრისტეს მიერ ძმანო, მეტი სიფხიზლე! ახლა ვნახოთ, რამდენად მეხამებულია ეს ადრინდელი წესი თანამედროვე ცხოვრების პირობებთან და ახლოს გავსინჯოთ თვით უქაზიც, რომ ნათელი წარმოდგენა კიქონიოთ მასზედ.—არჩევნები თავის თავად კარგი რამ არის და ამიტომ მის წინააღმდეგ წერა და ლაპარაკი ახლანდელ დროში გაუნათლებლობის ნიშანია, ეს ასლა ბავშებმაც კი იციან. ე

ხილით. სარგებლობს და ვერ ხედავს, რომ თავიდანვე იკვეთავს კრილებს, რადგან ვერ გრძნობს სრულ სიმწარეს, რომლისაც აუცილებლად იგემებს ახლო მომავალში. ჯერ დღესაც, აქა-იქ, გაისმის ჩუმი პროტესტი და შემდეგში კი რა იქნება, ამასაც მალე მოვესწრებით. ამისათვის, სანამ ამ არჩევნების უკუღმართ შედეგებს სრულიად ვიწვნევდეთ, საჭიროა დროზე გაუსწოროთ ანგარიში სინამდვილეს და ბოროტება ძირშივე მოვსპოთ, თორემ შემდეგ, შეიძლება, დაგვიანებულიც იქნეს.

მაინცა და მაინც არც თვითონ უქაზი არის ისე უვარგისი, რომ მისი ცხოვრებაში გამოყენება შეუძლებელი იყოს. უმთავრესი დებულებანი, რომელთა ზედა დაფუძნებული უნდა იყოს მთელი არჩევნები, გადამწყვეტ ხმას მღვდელ-მთავრებს ანიჭებენ. მოუსმინოთ თვითონ უქაზს. იგი ამბობს: „Каждый приходъ самостоятельно, если желаетъ, избираетъ кандидата въ клиръ своей церкви и представляетъ таковаго епископу. Если епископъ найдетъ избраннаго кандидата пригоднымъ по умственнымъ и нравственнымъ качествамъ, то опредѣляетъ его, а если найдетъ его непригоднымъ, отказываетъ прихожанамъ и представляемому ими кандидату въ просьбахъ и предоставляетъ прихожанамъ найтти, если желаютъ, другого кандидата, и дѣлаетъ это такъ до истеченія трехъ мѣсяцевъ со дня освобожденія должности. Если же въ теченіи трехъ мѣсяцевъ прихожане не представятъ пригоднаго кандидата, епископъ замѣщетъ должность по своему усмотрѣнію и прихожане должны подчиниться волѣ епископа, или остаться безъ члена клира, даже безъ священника.“

ამის კომენტარიები აღარ ესაჭიროება.

(შემდეგი იქნება)

სვანეთის ჭირისუფალს, ბ. ლეონარდოს.

ნეტარხსენებულ ესდეკების ორგან გაზ. „ფონში“ წავაწყდით ბ. ლეონარდოს წერილს ზემოსვანეთიდან, რომელშიდაც იგი დასტირის სხვათა შორის ამ უკანასკნელ ხანებში სვანეთის ზნეობით გათახსირებას და ერთ-ერთ ამის მიზეზათ ასახელებს სამღვდელოებას, ჩინოვნიკების და მებატონეების (რომელთაგან ერთი ლეონარდოც გახლავთ), გავლენას.

მებატონეებმა და რუსის ჩინოვნიკებმა რომ ცუდი გავლენა იქონიეს ხალხის ზნეობაზე ეს ძველი ჭეშმარიტებაა და ამის წინააღმდეგ თქმა არაფრის შეგვიძლია. არც ის გვიკვირს, რომ ბ. ლეონარდო, ყოფილი მებატონე და. მაშასადამე, სვანეთის ზნეობრივ გათახსირებაში მონაწილე, თავს იმათრახებს, რადგან ამის მიზეზს თვითვე ლექსით აქვე გადმოგვცემს:

მგელმან მგლის ტყავის დახევა
აროდეს გაიმეტოსა,
ვიდრე ცხოვრების მძაფრ სიომ
სხვა მხრიდამ არ დაბეროსა!...

(ეს ლექსი პირველათ გვესმის, უთუოთ ლეონარდოს ყაიდის უნდა იყოს!).

დიახ, „დაბერა სიომ“ და ლეონარდომაც დახია მგლის ტყავი, რომელშიდაც იგი გახვეული იყო მოძრაობის წინა ხანებში, ე. ი. უღალატა თავის წოდებას გახდა ესდეკი და დაიწყო ხალხის მისგანვე „გათახსირებულ ზნეობის“ აღდგენა და გაფაქიზება, რა თქმა უნდა სხვა ესდეკებთან ერთად. და რაში გამოიხატა ეს ზნეობის გაფაქიზება, ამის მოწამე ყველა ვართ, ვინც 1905 წლის შემდეგ არ დავბადებულვართ. გარდა სხვა სიკეთისა სილაჩრეც კი ასწავლეს სვანებს ნაცვლად ძველი გულოვნობისა, რადგან პირველ შემთხვევაშივე ხობბები-

ვით მიმ ლ-მოიმალენ ბუჩქებში. იმ ზომამდე ხალხის ზნეობა არასოდეს არ დაცემულა, როგორც ესდეკურ მოძრაობის შემდეგ, რასაც ესდეკები დღესაც ხალხის გათვითცნობიერებას ეძახიან და ბ. ლეონადოც ამ აზრის უნდა იყოს. საინტერესოა ვიცოდეთ, დღეს რა გზას ადგია ბ. ლეონადო და რით აპირებს სვანების ძველ სიქველის აღდგენას. „ფონში“ დაწერილი ერთი სტატია, რა თქმა უნდა, ვერ უშველის საქმეს; თუ სვანეთში სოციალიზმის შეტანას ფიქრობს, რომელშიდაც, სიტყვაზე ვსთქვათ, ბევრ ზნეობივრს ვერაფერს ვხედავთ, ძალიან გვიან მოუვა, ასე რომ თანამედროვე სვანეთი მაინც ვერ მოესწრება მის განხორციელებას; იქნებ ხალხის სწავლა-განათლებას ესწრაფვის, რომ მეტი სინათლე შეიტანოს სვანეთის ბნელ მთებში?! ერთი სიტყვით რა შემატა სვანეთს მას შემდეგ, რაც მგლის ტყავი დაუხევია? არაფერი და ვერფერსაც ვერ შესძენს, რადგან ხალხზე ძალიან შორს დგას და არაფერი საერთო მასთან არ აქვს. ხალხის დახმარებას კიდევ არ ნიშნავს, რომ უზომო სურვილები აღუძრა მას და საშუალება კი არ მისცე ამ სურვილების დასაკმაყოფილებლად. „ვის არ უნდა თავი მეფეთ და ცოლი დედოფლათ,“ როგორც იტყვის ქართული ანდაზა, ვის არ უნდა მილიონებში სცურავდეს, მაგრამ სად არის საშუალება ამ მიზნის მისაღწევად. სულ დიდი, რაც თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა მოუპოვეთ ხალხს, ბ. ლეონადო, ეს ტანტალის განსაცდელი გახლავსთ, აღუძარით სურვილი რაღაც მიუწვდომელი განცხრომით ცხოვრებისა და ერთი თითიც კი არ დააწებინეთ ზედ, ერთი ყლაპი წყალიც კი ვერ დაალევინეთ იმ უკვდავების წყაროდგან, რომელიც თქვენთვისაც ოცნებას შეადგენს. თქვენგან გამხეცებული სურვილებ ამლილი ხალხი ვერ გრძნობდა, რას შვებოდა და დღესაც არ ჩამდგარა ნორმალურ კალაპოტში, დღესაც უარს ყოფს ცხოვრების აუცილებელ პრინციპებს, თვისტომობას, ერთვნებას, ნათესაობას, სარწმუნოებას, სასოებას და თვით თქვენგან ღვთაებად აღიარებულ ძმობა-ერთობასაც კი. აი, თუ გნებავთ, ნაყოფი თქვენი მოღვაწეობისა სვანეთში, აი შედეგი თქვენგან „დახეული მგლის ტყავისა.“ დ სტკბით, თუ გნებავთ, თუ შეგიძლიათ დასტკბეთ. იმ სურათით, რომელიც გადაგეშალათ თვალწინ, როგორც შედეგი თქვენის და თქვენისთანების ზნეობრივად გამამრთელებელი (?!) ქადაგებისა.

ამის შემდეგ თქვენ კიდევ შეგიძლიათ უსაყვედუროთ სვანეთის სამღვდელოებას, რომელიც ჭირსა და ლხინში გვერდში უდგია ბეჩავ ხალხს და ნუგეშს აძლევს სარწმუნოებით, სასოებით და ხშირად ნივთიერი დახმარებითაც? რა უფლება გაქვთ უკიჟინოთ უმოქმედობა მათ, ვინც თქვენზე მეტს მოქმედობს და თქვენზე მეტს არგია ხალხს? თქვენ ბრძანებთ, რომ სვანეთის სამღვდელოება განუვითარებელია, თვით ხალხის შვილია და ბ. რათ არ განირჩევა ხალხისგანო. ჯერ ერთი, რომ განვითარებული და თავის მოწოდების სიმაღლეზე მდგომი სამღვდელოება სულ არ მოგვეძევა საქართველოში და საიდგან დაებადება სვანეთს ასეთი სამღვდელოება, მეორეთ საიდგან განვითარდეს ერი, თუ ნელნელა არ დაიწყო განვითარება: ჯერ ასეთი მღვდლები გამოვიდა ხალხიდგან, მერმე უკეთესი გამოვა და ასე თანდისთან დაიბადება ნასწავლი და განვითარებული სამღვდელოება და საზოგადოება. მაგრამ მაგარი ის არის, რომ განათლებული და განვითარებული ახალგაზდობა ველარ სცნობს იმ წრეს, საიდგანაც გამოვიდა. იმას უკვე აღარ აკმაყოფილებს თავის სამშობლო სოფელი მისი მცხოვრებლებით და ცხოვრების პირობებით. იგი უკვე გარეშეთ სცნობს თავს და ეძებს ისეთ ხალხს და ისეთ ცხოვრების პირობებს, სადაც მას გაეძლება. აბა მიბრძანეთ, რომელი განათლებული სვანი დაუბრუნდა თავის სამშობლოს, თუ არ ისევ ის მცირედნი, რომელებსაც თქვენ ასე აუგებთ? როგორც მამულიშვილს, თქვენ უნდა გახარებდესთ ის გარემოება, რომ სვანეთმა თვით წარმოშობა თავის მწყემსნი და მოძღვარნი— თუმცა თქვენებურათ ნაკლებ განვითარებულნიც. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხალხი წინ

მიდის, რომ მას შეუძლია თავის ზნეობრივ ძალ-ღონით გაიტანოს თავი და არა მუდამ სხვას შეჩერებოდეს ხელში. რაც უნდა იყოს, თავისი სჯობს სხვისას, თავის საკუთარი მმართველობა სჯობს უცხო ტომთა მმართველობას; ეს კაი ხანია დაამტკიცა ისტორიამ და ეს არის საქართველოს ეკლესიის ბრძოლის პრინციპი, რომ თავის საკუთარი მმართველობა ჰქონდეს, თუმცა კარგათ ვიცით, რომ გერმანიას, საფრანგეთს და სხვა განათლებულ ქვეყნებს გაცილებით უფრო განვითარებული სამღვდელოება ჰყავს. კარგი ის არის, როცა ხალხი ვარდივით შიგნიდგან იფურჩქნება, იზრდება და არა გარედგან იწებებს ათას ნაირ მის ბუნებასთან შეუხამებელ ზნე-ჩვეულებას. თქვენ ეს კარგათ უნდა გესმოდესთ, ბ. ლეონიდო, როგორც ხალხის მოჭირნახულეს. მაგრამ ჩვენ მაინც არ გვიკვირს თქვენი სხვა გვარი სიმღერა. ჩვენ კარგათ ვიცით, როგორი მღვდლებიც გსურსთ სვანეთში. სოციალ-დემოკრატი, მარქსის მოძღვრების აღმსარებელი, თქვენი და თქვენი პარტიის ყურმოჭრილი მონა მორჩილი——აი თქვენი იდეალი სვანეთის სამღვდელოებისა. მაგრამ ეს ხომ ჩვენებურათ, ქრისტიანულათ, სამღვდელოება არ იქნება, არამედ გუნდი „ჯირიკების“ ორატორთა.

დასასრულ გირჩევთ წინ დაიხედოთ და მერმე სხვას უკიჟინოთ.

სვანი.

ღია წერილი

ოზურგეთის მაზრის მისსიონერს თავადს მელქისედეკ ნაკაშიძეს

არა ერთხელ დავსწრებივარ, თავადო მელქისედეკ, თქვენს ბეჯითსა და მეტად ხმა მაღალს საჯარო მსჯელობას ეგრეთ წოდებულ „კარბელაანთ“ კილოს გალობის შესახებ. თქვენ ყოველგან და ყოველთვის ამტკიცებთ, რომ ეს გალობა საეკლესიო გალობა კი არა, სპარსული ბაიათობისა და თქვენგან დაზეპირებული „მომიყეფე ჩემო მურა“-სებური უბრალო სიმღერეების ნაგლეჯიაო. გრიგოლ კარბელოვმაო, ბძანებთ ხოლმე ხშირათ, არავითარი გალობა არ იცოდა და ამიტომ მთავრობამ გააძევა იგი სემინარიიდამაო. მსჯელობის დროს იმოწმებთ ხოლმე თვითონ მ. პოლე კარბელაშვილს, კარბელაშვილი თავის თხზულებაში, „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ სწერს: ქართლ-კახური გალობა წარმოსდგა „თეთრო ბატო“ და „ყურშას“ სიმღერეებიდანაო, ხოლო ეს სიმღერეები, თქვენი შეხედულობით, იმავე დროსანი არიან, რომელსაც თქვენი „მომიყეფე ჩემო მურა“ ეკუთვნის და ვითომც „თეთრო ბატოს“ სიმღერაშიაც ისეთი თამამი იყოთ, როგორც „მომიყეფე“-ს ტქმაში თქვენი ასეთი მსჯელობის მოსმენის შემდეგ ბულ დასმით გადავიკითხე თავიდამ ბოლომდე კარბელაშვილის დასახელებული მეტად საგულისხმო და სერიოზული ხასიათის თხუზულება, მაგრამ ვერაფერი იმის მსგავსი ვერ ამოვიკითხე მასში, რასაც თქვენ ასე გაბედულათ ავრცელებთ საზოგადოებაში ქართლ-კახური საეკლესიო გალობის ხასიათის შესახებ. აქედამ იმ დასკვნას დავადექი, რომ თქვენ ან სრულებით არ გინახავთ მ. პ. კარბელაშვილის ზემოთ დასახელებული მეცნიერული გამოკვლევა და იმეორებთ ვიღაცა შეუგნებელი პირისაგან გამოთქმულ მსჯელობას, ან წაკითხული ვერ შეგიგნიათ ჯეროვნად და არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ „თეთრო ბატო“-ს კილოზე. თუ ეს ასე არ არის, გთხოვთ გამამტყუნოთ ბეჭვდითი სიტყვის საშვალებით და მასთან გამოაქვეყნოთ საჭირო საბუთების წამოყენებით, რომ პოლე კარბელაშვილი უსირცხვილოდ ატყუებს საზოგადოებას, როდესაც თავის თხუზულებაში მღვდელს გრიგოლ კარბელაშვილს იხსენიებს გამოჩენილი მგალობლის სახელით.

ამასთან თქვენ არა ერთხელ და ორჯერ წარმოგითქვამთ, რომ მე ვარ ერთად ერთი კომ-

პოზიტორი მთელ საქართველოში და ხელში მიგირავს შატბერდის საგალობლების ნოტების გასაღებიო. ვინაიდგან მთელი ჩვენი სამშობლოსათვის ძველი საგალობო ნიშნების შეგნება დიდს ბედნიერებას შეადგენს, გევედრებით სამშობლოს სახელით, გამოაცხადოთ, რომელ გაზეთშიაც გნებავსთ, რომ ამ ნიშნების შესაგნებელ გასაღებს გადასცემთ ბ. ბ. ფალიაშვილს, ი. კარგარეთელს და ზ. ჩხაკვაძეს; ასევე სამსახურით ოჭროს ასოებით აღნიშნავთ თქვენს სახელს სამშობლოს ისტორიის კაბადონზე.

თუ ამას არ ინებებთ და ხსენებულ პატივცემულ პირებს არ გადასცემთ ძველი საგალობო ნიშნების აზრს, იძულებული ვიქნებით ეჭვი შევიტანოთ თქვენს ცოდნაზეა და თქვენ საკიელს უწოდოთ შესაფერი სახელი.

ქაჯეთელი.

უცხოელ მოგზაურის შენიშვნების გამო.

ხუთი თუ ექვსი წელიწადია მას აქეთ... გაფიცვის გამო სწავლა შეწყდა და ჩვენც შეძლება მოგვეცა დავმტკბარვიყავით შემოდგომის თავისებური და საამო ბუნებით. გავეშურეთ ძველი დედა მეხეთისკენ. მალე ვესტუმრეთ არმაზის სავანეს.

შვენიერი, წარმტყვევნი ბუნება და ისტორიული წასული ერთ უშესანიშნავეს ადგილად ხდის ამ პატარა სავანეს. ჩემი ამხანაგები მონასტერს ნაჩვევი არ იყვნენ. და ცოტა მორცხვათ მოდიოდენ, მაგრამ სავანის წინამძღვრის, მამა მირიანის, სტუმართ მოყვარულმა გამომეტყველებამ და მხიარულმა მოქცევამ მალე გაგვთამამა და შინაურებად გადაგვაქცია. დავრჩით რავდენიმე დღე. ზნეობის გმირთა დანგრეული არ მარე, თვით მამა მირიანის სიყვარულით ალავსე პიროვნება, გარშემო მხატვრული, წარმტაცი ბუნების შვენება, — ყველაფერი ეს გამაცოცხლებელ ცვრებად ეპკურებოდა ჩვენს სასწავლებლის ცივ-კედლებსა და ცივ-ადამიანთა შორის გამომხმარს სულს. თითქოს მოდუნებულმა ჩვენი სულის გრძნობებმა გაიღვიძა და სიცოცხლე იგრძნო. ყველაფერი გამოიცვალა. ეკლესია, ბერი, ლოცვა, რომლებიც რაღაც საფრთხობსა და მოსაწყენს შეადგენდა სასწავლებელში, დღეს სულ სხვა სახით დაგვიდგა წინ. თითქო ეს ის ეკლესია არ იყო, რომელშიაც ძალად გვდენიდენ და სადაც ზვერავდენ ჩვენს ფეხის მდებარეობასა და თვალის მიმართულებას; ეს ის ბერი არ იყო, რომლის შეხვედრა თავ-ზარს გვცემდა და რომელსაც ასე გვეგონა, მეტი საქმე არ ქონდა, გარდა ჩვენი „დაჭერისა“ და დასჯის.

მახსოს რა აღტაცებით და წმიდა გრძნობით ვემზადებოდით მ. მირიანეს წირვაზე დასახმარებლად. მეს მაშინ შემწე და ამხანაგი არავინ ყავდა. წინადამე ერთმანერთს ვაღვიძებდით, არ დაგვგვიანებოდა ცისკარზე, ჩვენებურად ხოროც გავაწყვეთ. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. არმაზის პატარა, სუფთა ეკლესიამ, რომელიც ობოლ შვილივით მიკვრია მკერდს თავის გულშენგრეულ დედა-ეკლესიას, და მამა მირიანის უბოალო, მაგრამ სასოებიანმა ლოცვამ რამოდენიმე დღე უფრო გვაგრძნობინა ღმერთი და შეგვაყვარა ადამიანი და ქვეყანა, ვიდრე სასწავლებელში რავდენიმე წლის განმავლობაში „ათასფრად“ მორთულმა „კაზიონურ“მა ღვთის-მსახურებამა და „განათლებულმა“ მოძღვრებმა.

ეს ტკბილი წასული მომაგონა ბ. ა. ა. მოშჩანსკის წერილმა. რომელიც დასტამბულია „ისტორიულ მოამბეში“. *) ხსენებულ პირს ეხლახან მოუვლია საქართველო, დაუთვალიერებია მისი ღირს-შესანიშნავი ადგილები და ნაშთები და ხსენებულ ჟურნალის ფურცლებზე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას მოგზაურობიდან. ვგონებ, ინტერეს-მოკლებული არ იქნება, რომ მოვიყვანოთ აქ ორიოდე ალაგი ამ წერილისა. მოგზაური ეხება არმაზის სავანეს.

*) „Историч. вѣст.“ 1911 г. мартъ.

„თითქმის ერთი საათის სიარული მოგვინდა დაკლაკნილ და წირმტაც მთის ბილიკით, სანამ, ბოლოს, შევნიშნავდით მწვანით დაბურულ ტყეში ძველ ეკლესიის ნანგრევს და მის ახლო შეფარებულ ახლად აშენებულ ეკლესიას. ყმაწვილი 15 – 16 წლისა სახერო კაბასა და ქუდში სახლის მახლობლად ფიჩხებს კრეფდა. ჩვენს თხოვნაზე, ეცნობებია ჩვენ შესახებ მ. მირიანისთვის, ყმაწვილი უცებ სადღაც გაქრა და დაბრუნებულმა გვ ცნობა, მ. მირიანეს ამ წამს არ სცალია და მალე გეახლებათო. არ გვინდოდა დროს უბრალოდ დაკარგვა, და შეუდეგით ნანგრევების დათვალიერებას. ნანგრევთა უმეტეს ნაწილს შეადგენს ნაშთები საკმაოდ ვრცელის ბრტყელ ძველ აგურებისგან ნაშენ საყდრისა, რომელსაც გვერდით ეგვტერი ჰქონია მიკეთებული. საყდრისგან მხოლოდ კედლები და დარჩენილა, თაღები კი სრულებით ჩამონგრეულია. შიგ, აქა იქ, ოდნავ აჩნია წმიდანების სახე. საკურთხეველში აწყვია ნამტვრევები ქვის რგვალ სვეტებისა, რომლებზედაც დაყოფებული იყო ტრაპეზი, საყდრის გვერდით—ნაშთები ქვის კედლისა, რომელიც გარშემოვლებული ჰქონია მონასტერს, ნანგრევი ბერების სენაკებისა, რაღაც საკუჭნაო შენობისა და წყლის მილისა. იქვე ვებერთელა, მიწაში ჩამარხული სალინე ქური.

სხვა შენობაზე უკეთესად შენახულა სამრეკლო, რვაკუთხიან პირამიდალურ გუმბათიანი. სამრეკლოს გარედგან მიშენებული აქვს დიდი ქვის ლოდინებისგან წყობილი კიბე თვალიერებას გადავყოლოდით და სრულებით არ შეგვინიშნავს, თუ როგორ მოგვიახლოვდა ლამაზი და ტანადი მამა კაცი, საზაფხულო თეთრ კაბაში, შესახედავად ასე ორმოცის წლისა. შავს დაწნულ თმასა და წვერში არც ერთი ჭაღარა არ ერია. ეს იყო მამა მირიანე, განმაახლებელი და წინამძღვარი არმაზის მონასტრისა. იგი დიდის სიყვარულით მოგვესალმა და სიამოვნებით ხელახლა დაგვატარა ნანგრევები საჭირო განმარტებით. მისი სიტყვით ეს ნანგრევი ნაშთია საყდრისა, რომელიც აღშენებულია არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნისა და დასამტკიცებლად გვიჩვენა თეთრი მარმარილოს ლოფინი ეგვტერის შესავალ კარებს ზემო კედელში ჩაშენებული. ქართული წარწერა ამ ლოფინზე ამბობს, რომ ეგვტერი აუშენებია **ხათუნს**, ყოფილ მარიამს, დედას **საბალთისა**, ღირს-ქმნილს შეწირვად სულისა ღვთისა მიერ ამაღლებულ კათოლიკე ეკლესიისადმი (ე—ი მონაზნობის მიღებისა) შეწევნითა საქართველოს კათალიკოზის ნიკოლოოზისა. თავის წარწერაში ხათუნი მიმართავს მარადის ქალწულს მარიამს: „მოვისურვე მცირედ გემსახურო შენ: შევიწყიდე და, აღვაშენე არმაზის ეგვტერი ყოვლით მოწყობილი: ტრაპეზით, გლეხებით, სიგელით, და მიუჩინე მსახურნი, მლოცველად სულისათვის ჩემისა, და თქვენ, რომელთაც შემდეგში გეპყრებათ საქართველოს კათალიკოსობა, შეიბრალეთ საწყალი სული ჩემი და დაამტკიცეთ ესე, რათა თქვენცა დაგამტკიცოსთ ღმერთმა. რომელმაც დაარღვიოს განწესებული ჩემ მიერ საყვედრებლად სულისათვის ჩემისა სურვილი ჩემი, იქმნეს პასუხის მგებელ ცოდვათათვის ჩემთა ამინ". არხეოლოგები აკუთვნებენ ამ წარწერას მე XII საუკუნეს, როცა საქართველოში მეფობდა გიორგი, შვილისშვილი წარწერაში მოხსენებულ საბალთისა და კათალიკოსად იყო აგრეთვე მასში ხსენებული ნიკოლოოზი.

მამა მირიანემ სხვათა შორის გადმოგვცა, რომ რამდენიმე წლის წინეთ მის აქ დასახლებამდი, ფრანგ მოგზაურებს მოუნდომებიათ ამ წარწერის მოპარვა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ მისი გამოღება კედლიდგან და ამის შემდეგ დაკმაყოფილებულან გადაღებით. გიპსის დანარჩენი ახლაც აჩნია აქა-იქ ასოების ღრმავეში. საზოგადოდ, მონასტერს მამა მირიანემდი არავინ იცავდა და შიგ იჩხრიკებოდა, ვისაც უნდოდა. მართლაც, თხრიდენ იქაურობას ხლაპრულ განძის მძებნელნი და ამასთან შეუბრალებლად ანგრევდენ ერთს უშესანიშნავეს ნაშთს ღრმა წარსულისა. არც არხეოლოგიური საზოგადოება, არც ადგილობრივი სასულიერო მთავრობა არ აქცევდენ ამას არავი-

თარ ყურადღებას და არავითარ ზომებს არ ღებულობდენ ძველ სიწმიდის და ისტორიულ ნაშთის დასაცავად, და რომ თექვსმეტ წლის წინეთ არ გამსდარიყო აქ მ. მირიანე,—ნანგრევთაგან, უეჭველია, არაფერი დარჩებოდა. უნდა სიმართლე ითქვას ამ შესანიშნავ ადამიანზე: იგი მხოლოდ ერთი აფასებს ჯერ-ჯეროობით არმაზის ნანგრევებს და მთელი თექვსმეტი წელი გულსმოდგინედ იცავს მათ და მოუსვენრად იღვწის მათ აღდგენაზე; აგროვებს ძველ აგურებს და მაგან საკუთარის ხელით მართავს კედლებს და თაღებს იმავე სახით, როგორც იყო დანგრევამდი. ამასთან უკანასკნელ ერთი თუ ორი წლის განმავლობაში მამა მირიანე მარტო არ მუშაობს: მას ეხმარება მოსამსახურე ყმაწვილი, რომელიც ჩვენ შეგვხვდა მონასტერში შესვლისას და მასთან მახოვრები ორი მღვდელ-მონაზონი დაიარებიან თაყვანის მცემლებიც, რომელნიც პირადი შრომით მონაწილეობას ღებულობენ საყდრის განახლებაში (მათთვის არის კიდევაც აღშენებული ახალი სახლი). განსმკუთარებითის სიამოვნებით იგონებდა მ. მირიანე ერთს ვინმე სტუდენტს, რომელსაც გაუტარებია მასთან ზაფხულის რავდენიმე დღე 1908 წელს.

ფ-დ საყვარელი ბალგაზდა, — გვიამბობდა მის შესახებ მ. მირიანე, — მთელი დღე გართული იყო: ან კითხულობდა სახარებას ან მეხმარებოდა კედლის აშენებაში.

მონასტრის დათვალიერების შემდეგ მ. მირიანემ მიგვიპატიჟა თავასთან სენაკში. დრო ცოტა გვქონდა, მაგრამ მიპატიჟება ისეთი სიყვარულით და დაჟინებით იყო გამოთქმული, რომ ვერ ვაწყენიეთ მ. მირიანეს უარის თქმით. მას აცხოვრებელი ჰქონია სამრეკლოს მეორე სართულში. ოთახის ფანჯრები ერთის მეტი აგურით ამოუწყვია. ქვის, ნახევრად დანგრეულ კიბით ცოტა-გაჭიოვებით ავედით მ. მირიანის ფ-დ სუფთა, სინათლიან და ხატებითა და სასულიერო შინაარსის ნახატებით მორთულ სენაკში. ფაცი-ფუცით და ბოდიშ-მოხდით, რომ ჯეროვნად ვერ გვიმასპინძლდება, მან ამოიღო პატარა შკაფიდან გამხმარი თეთრი პურის ნაჭერი და საინი თაფლით საკუთარი საფუტკრიდან, ყველაფერი რაც რამ ქონდა, — და გულკეთილის სიამოვნებით გვთხოვა მიგვეღო ეს უნდო გამასპინძლება. თაფლი საუკეთოვო იყო და ჩვენ სიამოვნებით შევჭამდით მას პურიანად, მაგრამ არ გვსურდა ბოროტად მოგვეხმარა გულუხვობა მასპინძლისა, რადგან ვიცოდით რომ მას არ ქონდა საშვალება თეთრი პურის ყიდვისა და ის ნაჭერი, რომელიც მას აღმოაჩნდა, უეჭველია, ვინმე თაყვანის მცემელ ან მოგზაურისგან ექნებოდა დატოვებული. გამოთხოვებისას ამოვიღე ერთი მანეთი, მაგიდაზე დავდეევ და ვთხოვე მიეღო იგი მონასტრის აღსადგენად

—ოჰ, არა, არაფრის გულისთვის!—წინააღგვიდგა მ. მირიანე; — თქვენ მგზავრები ხართ, კიდევ შორი გზა გიძევთ წინ. ფული თქვენ უფრო გჭირიათ, ვიდრე მე. მან სწრაფად აიღო ფული და ცდილობდა ჩაედო ისევ ჩვენს ჯიბეში. ძლივს დავიყოლიეთ მ. მირიანე მიეღო ეს უმნიშვნელო წვლილი მისთვის ძვირფას საქმისთვის მხურვალე გამოსალმებით და ღრმა თაყვანისცემით გაგვაცილა მან მონასტრის გარეთ და შეუწყვეტლივ გვისურვებდა კეთილ მგზავრობასა და ყოველს სიკეთეს. ბევრი არაა ქვეყანაზე ასეთი თავის საქმის თავშემწირველი ადამიანი, როგორიც მამა მირიანია. ხშირად მოვიგონებ მას და განსაკუთრებულის სიყვარულით და სიამოვნებით უძღვნი ამ სტრიქონებს“...

ამის შემდეგ ბ. მოშჩანსკი აღგვიწერს მცხეთის დედა ეკლესიას. ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია მაზე ამ საქართველოს სიდიადის ჭალარა მოწმეს. მაგრამ რავდენად ეს შთაბეჭდილება სასიამოვნოა მკითხველისთვის, იმდენად მწვავეა ის მოკლე შენიშვნა, რომლითაც უცხოელი თაყვანის-მცემელი ამ ისტორიულ სიამაყისა ახასიათებს მის დღევანდელ ბატონ-პატრონებს. აი ეს დახასიათებაც: „ეკლესიას (მცხეთის თორმეტ-მოციქულისა) გარშემოტყმული აქვს ძველი, საკმაოდ კარგათ შენახული ქვის კედელი. გალავანს შიგნით,

დასავლეთით, კედელს აკრავს ნანგრევი ძველ სამეფო დარბაზთა. მათგან შენახულა რავდენიმე ოთახი, დღეს დახავსებული და ნეხვით სავსე. შევედით ერთს მათგანში და შევსდექით ზარდაცემულნი, როცა ჩვენ წინ დავინახეთ ორი ახალი გაკეთებული ფიცრის ფეხის ალაგი. ასეთავე „საძაგელება აოხრებისა“, მხოლოდ ფიცრულ მოფარდულის უმისოდ, მეფე და სასახლის დანარჩენ ოთახებშიაც და საშინელი სიმყრალით იტყობინებოდა თავის არსებობას. ნუ თუ ამ ნანგრევებს არა აქვს სრულებით არავითარი მნიშვნელობა და ნუ თუ სრულებით არ ღირს დაცვა ღრმა წასულის იმ ისტორიულ ნაშთისა? ამგვარი კითხვა არა ერთხელ მივეცით ჩვენ თავს, როცა ვათვალიერებდით კავკასიის სხვა სიძველეს, რომლისათვის ჩვეულებრივ არავინ ზრუნავს“.

არ შეგვიძლია არ მიუძღვნათ ჩვენის მხრივაც ღრმა მადლობა მ. მირიანეს, რომ იგი დაუღალავად შეძლებისდაგვარ იღვწის არმაზის უდაბნოში, მარტოდ-მარტო და თავის პირდაპირი მიზნის გარდა არ ზოგავს ღონეს სამშობლოს ძველ ნაშთთა დაცვა-აღდგენისთვის და თავის კეთილ მაგალითით განმაკეთილშობილებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე, რასაც მოწმობს ზემო მოყვანილი სტრიქონები უცხოელ მოგზაურისა, მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმ „მოწინავე“ პირებზე, რომელთაც, როგორც ბ. მოშჩანსკი შენიშნავს, გაუმეფებიათ „სიმყრალე და სასაძაგლე აოხრებისა“ მცხეთის მთელ საქართველოს დედა ეკლესიის გალავანში და ისტორიული ნაშთი სამეფო დარბაზთა „ფეხის ალაგად“ გადუქცევიათ?!

ონოფრე მწირი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

ბელგოროდის დედათა გიმნაზიის მზრუნველმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მზრუნველის წინაშე შესახებ გიმნაზიის ზედამხედველ ქალის სკორდულის დათხოვნ სა, რადგან მან მოსწავლე ქალს პრიჩოსკის გულისთვის ყოფაქცევაში ცუდი ნიშანი დაუსვა, რის გამოც ქალმა თავი მოიკლა, ეგრეთვე მოსწავლეთა მიმართ მკაცრი და უდიერი მოპყრობისათვის. მზრუნველმა უარით უპასუხა, აგრეთვე არ დააკმაყოფილა მეორე შუამდგომლობაც, რომ რევიზია დანიშნა და შეემოწმებია ქ. სკორდულის პედაგოგიური ზომები

გასაკვირია ან ქ-ნ ზედამხედველს რას უშლიდა საცოდავ ქალის „ბრიჩოსკა“ და ან ამ უკანასკნელს რას უკეთებდა იგი!

გამოქვეყნდა სახალხო განათლების მინისტრის შემდეგი ცირკულიარი იმ მასწავლებელთა შესახებ, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო კანონის 79 და 80 მუხლების შელავათით. თუ ესენი დანიშნულ ხუთ წელიწადზე ადრე გავიდნენ სამსახურიდგან უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღებიან, თუ სამხედრო სამსახური არ შეასრულეს.

ქალაქ იურიევში შეერთებული ბჭობა ჰქონდათ საშუალო და დაბალ სასწავლებლების უფროსებს, სახალხო სკოლების ინსპექტორებს, მშობლებთა კომიტეტების თავმჯდომარეებს და სხ. იმის შესახებ თუ რა ზომები უნდა მიიღონ წინაალმდეგ კინემატოგრაფებისა და გამრყვნელ საბავშო ლიტერატურისა. დაადგინეს: კინემატოგრაფის შესახებ: 1) მიენდოს პედაგოგებს გადაათვალიერონ კინემატოგრაფების სერიები, 2) მოაწყონ მოსწავლეთათვის განსაკუთრებული სეანსები და აღუკრძალონ

დანარჩენ სეანსებზე სიარული (თუნდა მშობლებთანაც); 3) რადგან ძნელია მოსწავლე და არა მოსწავლე ბავშების ერთმანეთისგან გამოცნობა დაბალ სკოლებში, იშუამდგომლონ, რომ ბავშებს აეკრძალოს კინემატოგრაფში სიარული არა მოსწავლეთა სეანსებზე; საბავშო ლიტერატურის შესახებ: 1) შევსებულ იქმნეს მოსწავლეთა ბიბლიოთეკები რჩეული წიგნებით, 2) ეთხოვოს წიგნებით მოვაჭრეებს ნუ გამოფენენ ვიტრინებში მაცთუნებელ წიგნებს, 3) ვეცადოთ უფრო სასტიკი ზომები იქმნეს შემოღებული, მავნებელი წიგნების გავრცელების წინაამდეგ.

კაი ხანია ჩვენშიდაც მოითხოვს საჭიროება მიექცეს ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება. ურიგო არ იქნება, რომ თეატრების რეპერტუარშიდაც სასტიკად არჩევდენ საბავშო და არა საბავშო პიესებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ქ. ლიბავაში ებრაელთა გიმნაზია გაიხსნა, რომელიც დღეს მოსპობის გზას ადგია. სამი კლასიდან, რომელიც თავიდგანვე გაიხსნა ორიღა დარჩა და ისეც ძლივს ლოღნიკობს: მოწაფეთა რიცხვი ასიდან ოცდა ათამდის დაეცა. გიმნაზიის ასეთ დაცემას უსახსრობას აბრალებენ.

კიევის უნივერსიტეტს სწავლის ქირის შეუტანლობის გამო დაუთხოვნია 903 სტუდენტი.

ნემეცური გაზეთი „Volksbildung"-ი კინემატოგრაფის პედაგოგიურ მნიშვნელობაზე იძლევა ასეთ დაფასებას, რომელიც გამოსთქვა პროფ. ბაკინსკიმ ბერლინის მოსწავლეთა ტანმრთელობის დამცველ საზოგადოებაში, ჭრელი ცვალებადობა ჩაბეჭდილებათა, ნამეტანი სინათლოვანი, მყვირალა სურათები, დასურათება დანაშაულობათა, შემზარავ სცენებისა და ჩხუბებისა ავითარებენ ბავშში ცრუ შეხედულებას ცხოვრებაზე. მათი ოცნება ირევა, ასე რომ ხშირათ შედეგად ავათმყოფი მოვლენები მოჰყვება ხოლმე. ხშირი მსვლელობა კინემატოგრაფში ავითარებს ბავშის დაფანტულობას, მისი ყურადღება სწყდება საქმიანობას, ასეთ მდგომარეობას ხშირათ უძილობა და უმადობა მოჰყვება ხოლმე. ამასთან კინემატოგრაფებში ჰაერი შეხუთული, ცხელი და მავნებელია.

საქართველოს ექსარხოსი მ. ყ. უ ინოკენტი 20 მაისს პეტერბურგს მიემგზავრება.

სინოდის ობერ-პროკურორმა ლუკიანოვმა სამსახურს თავი დაანება და მის ადგილზე დაინიშნა ვ. კ. საბლერი.

ლუკიანოვის გასვლის შესახებ მარჯვენა გაზეთები ერთი მეორის წინაამდეგ გრძნობებს გამოსთქვამენ. მაგალ. „Земщина" სწერს: დასრულდა მართლმადიდებელ ეკლესიის წამება, ჩაბარდა ისტორიას კიდევ ერთი ობერ-პროკურორი, უ. ლუკიანოვი, რომელმაც დაასრულა მთელი რიგი მართლმადიდებლობის განმათავისუფლებელ მტარვალებისა. რუსის ხალხი სასოწარკვეთილებამდის მიიყვანეს მისმა წინამოადგილეებმა,—თ. ობოლენსკიმ და იზვოლსკიმ, მაგრამ ამას ყოველ უდიერობის ზომას გადააჭარბა ეკლესიისადმი, რომ მეტი არა ვსთქვათ, და ყოველ სიამოვნების ზომას ეკლესიის მტრებისადმი.

საბედნიეროთ, დიდხანს არ გაგრძელებულა ლუკიანოვის მართველობა იგი მიალაგეს და, რა თქმა უნდა, ერთი ჭეშმარიტი ქრისტიანეც არ ინაღვლის ამას.

გაზ. „Свѣтъ"-ი კი ასე უმღერს; „გულის ტკივილით და მადლობით ვეთხოვებით ს. მ. ლუკიანოვს მისი პირდაპირი, დარწმუნებითი, ნათელ სარწმუნოებრივ იდეალებით გამსჭვალულ მოღვაწეობისათვის."

ჩვენ—ქართველებმა რაღა უნდა ვთქვათ. ჩვენი ეკლესიისათვის მის ნათელ იდეალებს არაფერი გაუთბია!

წაღმა-უკუღმა.

(მოთხრობა.)

კოლია განცვიფრებული იდგა და ელოდა ბძანებას.

—კმაყოფილად გრძნობ თავს თუ არა?—შეეკითხა ბოლოს სონია ივანოვნა კოლიას, მოლიმარის სახით.

კოლიამ პასუხი ვერ გასცა; მან იმდენად არ იცოდა რუსული, რომ გაეგო და ეპასუხა რთულ კითხვებზე. სონია ივანოვნამ ნიკოს სთხოვა თარჯიმნობა და გამოელაპარაკა კოლიას. შემდეგ მან გამოსწია კედელზე მიმაგრებული სტოლის კოლოფი, ამოიღო ერთი ოცდა ხუთიანი და გარდასცა კოლიას.—„ეს,—ეთხრა მან,—გაუგზავნე შენს მამას, დღეის უკანდელი სამსახურისთვის და მომავლისათვის, თვეში თუმანი გენიშნება ჯამაგირადო.“ კოლიამ მადლობა გადაუხადა და ჩამოართვა ფულები, მაგრამ აქ უფრო საკვირველება წარმოუდგა მის თვალებს. ის ისე მოხერხებულად იდგა, რომ სტოლის კოლოფში დაუბრკოლებლად შეეძლო ჩახედვა, სადაც ცალ-ცალკე ეყარა ოქროს, ვერცხლის და ქაღალდის ფულები. რაც სიამოვნებით ინატრა კოლიამ. ამდენი ფულების დანახვით, ის რაღაც უცნაურმა სიხარულმა აღიტაცა: რაღაცას გრძნობდა, რაღაცას ჰფიქრობდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რა უხაროდა და რას გრძნობდა. კოლიამ უმატა ერთგულობას, ის ჯარასავით ტრიალობდა და დაკისრებულ საქმეს, მოსალოდნელზე უფრო კარგად ასრულებდა; სიცოცხლით სავსე ყმაწვილს არასფერი არ ეხარებოდა, თავის სიცქვიტე-ერთგულობით ჰსურდა თავი შეეყვარებია პატრონისთვის, რასაც კიდეც მისწვდა ის. ან რატომ დაშურაედა ის ძალ-ღონეს იქ, სადაც მეტად ჩინებულად გრძნობდა თავს? ჯამაგირი კარგი ეძლეოდა და ცოტ-ცოტა გროშებს კიდევ რჩებოდა, როცა რამე-რუმეების სასყიდლად გააგზავნ-გამოაგზავნიდენ; სარჩო და ტანისამოსი მინძლისა ეძლეოდა და ამით ის სრულიად კმაყოფილი იყო... მართალია, საფიქრებელი მას თითქმის არასფერი არ ჰქონდა, მაგრამ ერთი აზრი კი მეტად მკვეთრად ჩაჭრილიყო მის თავში და კარგა მაგრად დაბინაეებულიყო იქ. ეს იყო სონია ივანოვნას საფულე სტოლის კოლოფი, რომელშიაც, მას ჰსურდა, ხელი ჩაეყო და ეს განზრახვა თავიდან არ შორდებოდა. ის ყოველთვის მარჯვე შემთხვევას ეძებდა, რომ დაახლოვებოდა კოლოფს, მაგრამ ასეთი მოქმედები თვის ყოველი გზა შეკრული ჰქონდა: ერთი, რომ სონია ივანოვნა კოლოფს დაუკეტავს არ სტოვებდა, როცა სადმე წავიდოდა და მეორედ, იმ სი ხელზე მოსამსახურე ბიჭი მეტად ერთგულად სდარაჯობდა ოთახს, რის გამო კოლიას განზრახვა განზრახვადვე რჩებოდა, რაც მას ძილს უკრთობდა... გაიარა ამის შემდეგ ერთმა წელიწადმა და კოლიას სხვანაირად გაულიმა ბედმა. სონია ივანოვნას მოსამსახურე ბიჭი ავად გაუხდა და სამსახურზე უარი განაცხადა, აიღო ხვედრი ჯამაგირი და მოშორდა; ამის ადგილი კი კოლიამ დაიჭირა. კოლია დაინიშნა სონია ივანოვნას ხელზე მოსამსახურედ და მისი საწადელიც ეს იყო. ახლა მას სრული უფლება ჰქონდა თავის სანუკვარ ოთახში თავისუფლად ემუშავნა: ეწმიდა-ესუფთავებია იატაკი, ხალეები; თავ-თავის ადგილზე მიეწყ-მოეწყო ოთახის მორთულობა-მოწყობილობა და საზოგადოდ ყველა ოთახებში ემუშავნა, როგორც ამას მისი წინამოადგილე ასრულებდა. პირველ მოვალეობად, კოლიამ დაისახა ისე შეეყვარებია თავი სონია ივანოვნასთვის, რომ ეჰვმიუტანელი ნდობა დაემსახურნა, რასაც ის თავის ერთგულობით, ძალიან მოკლე ხანში მისწვდა. მართალია კოლიამ ძალიან შეაყვარა თავი სონიას, მაგრამ მარტო ეს როდი იყო კოლიას საწადელი? მას უნდოდა თავისუფლად ჩაეხედნა ფულიან კოლოფში, რასაც ის ვერ ახერხებდა, რის გამო ძალიან სწყდებოდა გული... ერთ დილას, როცა კოლია ნიკოს ოთახს

ალაგებდა, მაგრამ სონიას ოთახისაკენ ჰქონდა მიმართული გამჭრიახი თვალები, შეამჩნია, რომ ერთ საიდუმლო ადგილში ხელი ჩაჰყო სონიამ და იქიდან კოლოფისაკენ გაეჩქარა, გაალო კოლოფი და ჩადვა თუ ამოიღო ფულები, დაჰკეტა და ისევ იმ საიდუმლო ადგილისაკენ გასწია. კოლია ალტაცებაში მოვიდა. რა წამს სონია ივანოვნა გავიდა, მან გასწია საიდუმლო ადგილისაკენ, სადაც მართლაც აღმოჩნდა გასაღები. კოლია შეკრთა, შეშინდა, ორ-სამჯერ ჩაჰყო ხელი გასაღების ამოსაღებად და ისევ ცარიელი ხელი ამოიღო; ერთი კიდევ გაიხედ-გამოიხედა, გულს იმედი მისცა და ამოიღო გასაღები. ის ფრთხილად გაემართა კოლოფისკენ, მაგრამ აქ უვრო აიცახცახა შიშმა. მას ეგონა თუ თითოეულ კუთხეში დარაჯები იყვნენ დაყენებულნი, მისი შესაპყრობად; ფერმკრთალი ის უკანვე გატრიალდა, გასაღები თავის ადგილზე შეინახა და ყველა ოთახები შემოიარა, გარეთაც გაიხედ-გამოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ ის მხოლოდ ერთი იყო ოთახში და დროც ხელს უწყობდა, ისევ მიადგა საიდუმლო ადგილს; ამოიღო გასაღები და ფეხ-აკრეფით გაემართა კოლოფისაკენ; ერთხანს კიდევ შეჩერდა, მაგრამ გულს იმედი მისცა და გაალო კოლოფი.—„ღმერთო ჩემო“!—განცვიფრებით სთქვა მან, როცა კოლოფს გამოსწია და აუარებელი ფულები ნახა,—ეს რა ამბავია? ვის მოუგროვებია ამდენი ფული?“.. კოლია აქაც ძალიან შეშინდა, მაგრამ სურვილმა წასძლია და ფრთხილად ამოიღო სამი ოქრო; დაჰკეტა ისევ კოლოფი და გასაღებიც თავის ადგილას შეინახა. მან მიალაგ-მოალაგა ყველაფერი, დაჰკეტა ოთახის კარები და გამოვიდა გარეთ. ის კარგა ხანს დადიოდა ეზოში, რომ ფულის დასამალავი ადგილი აღმოეჩინა. ბოლოს ჭისკრის სვეტის ძირში შეამჩნია მოხერხებული ადგილი და მისი ოქროებიც იქ ჩაფლა. ის ახლა გულისფანცქალით მოელოდა უბედურ ბოლოს; მოელოდა, რომ შეამჩნევდენ ფული მოპარული იყო, ეჭვს მაზე მიიტანდენ, დასჯიდნენ და გააგდებდენ... გაიარა ამის შემდეგ ხუთმა თუ ექვსმა დღემ და, კოლიას საბედნიეროთ, ფულის მოპარვის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა. ამით წათამამებულმა კოლიამ, ნელ-ნელა დაიწყო ქურდობა და მთელი წლის განმავლობაში დრო და დრო გაჰქონდა ოქროები... კოლია გათამამდა, რაც ხანში შევიდა, გაბედულობა მოემატა და შიშიც ერთბაშად გაუქრა... „რაღა სამ-ოთხ ოქროებს ვიპარავ! ბარემ დავცლი კოლოფს და რაც მომივა—მომივა! თუ გამაგდებენ, არც მინდა მაგათთან სამსახური; ფული მექნება და ვაჭრობას დევიწყებ,“ დაადასტურა მან ბოლოს. ამ განზრახვით, ის ეძებდა დროს, როცა დიდძალი ფული შეიყრიდა თავს კოლოფში...

(შემდეგი იქნება).

ყ-დ სამღვდელო გიორგის რეზოლიუციები იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელ კრების ჟურნალებზე.

მისმა ყ-დ უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა გიორგიმ იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელი კრების განაჩენები განიხილა და შემდეგი რეზოლიუციები დასდვა:

1) ეკლესიებისა და საეკლესიო შენობების დაზღვევის შესახებ, რომელიც კრებამ საჭიროდ არ სცნო—„წავიკითხე. პირი რაპორტით წარედგინოს სინოდის კანტორას.“

2) სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურის თხოვნის გამო. რომელსაც კრებამ უარი უყო—„წავიკითხე“.

3) იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობის სავალდებულო წევრობაზე, რომელსაც კრებამ უარი ჰყო და მხოლოდ სურვილი განაცხადა მისი განვითარება-გაღორძინებისა: „საყურადღებოთ (КЪ СВѢДѢНІЮ). პირი გაეგზავნოს ძმობის გამგეობას, რადგან კრება საყვედურს უცხადებს. სამწუხაროა და გულსატკენი ასეთი გულცივობა კრებისა ძმობის

წმიდა მიზნების მიმართ.“

4) სასულიერო სასწავლებლისთვის მეორე მეთვალყურის მოწვევის შესახებ, რომელსაც კრებამ ეგრეთვე უარი უყო: „საყურადღებოთ. უარყოფის დასაბუთება არ ეთანხმება სინამდვილეს.“

5) საეპარქიო საქალებო სასწავლებელში სწავლის ქირისგან ზოგიერთ მოსწავლე ქალთა განთავისუფლებისა, რომელზედაც კრებამ თანხმობა განაცხადა—„სასწავლო ქირისგან განთავისუფლება სასწავლებლის მართველობის საქმეა და არა კრებისა“.—

6) შესახებ გადასახადის შემოღებისა სამზრუნველოს სასარგებლოთ იმ პირებისაგან, რომლებიც რომელიმე ჩინს ან ორდენს ღებულობენ, რომელზედაც სამღვდელოებამ თანხმობა განაცხადა—„ყურადღებოთ დამიტოვია, რადგან მსგავს შემთხვევაში მ. ყ. უ. ექსარხოსმა ინოკენტიმ შემდეგი რეზოლიუცია ინება: „გადაწყვეტილების თანახმა არა ვარ რადგან ჯილდოებზე გადასახადების დადება არ შეიძლება.“

7) შესახებ 25% გადადებისა სანთლის ქარხნის წლიური შემოსავლიდგან სინოდის სამოსწავლო თანხის სასარგებლოთ იმ პირობით, რომ სინოდი თავის თავზე მიიღებს სასულიერო სასწავლებლის შენახვას. კრებამ ამ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ საეკლესიო ხაზინა განთავისუფლებული იქნება გადასახადისაგან და ის ფული, რომელიც დღეს სასულიერო სასწავლებელს ხმარდება ამ დაწესებულებიდგან სამღვდელოების სრულ უფლებაში გადავა.—„დარჩეს უმოძრაოთ. ჩემდა სასირცხოდ არ შემიძლია მსვლელობა მივსცე კრების ასეთ დადგენილებას. ამ კრების დეპუტატთაგან მე უფრო დაკვირვებულ მოპყრობას მოველოდი სასწავლებლისადმი და მაშასადამე სამღვდელოებისადმიც. თუ საეკლესიო ხაზინას შესძლებოდა დაეკმაყოფილებია სასწავლებლის მოთხოვნილება, საჭიროც არ იყო შეგვეწუხებია უმაღლესი მართებლობა. საყვედურს უცხადებ თავმჯდომარეს მისთვის, რომ მან, მიუხედავათ ჩემი განკარგულებისა, თავის დროზე, სანამ კრება დაიშლებოდა, არ მაცნობა ეს დადგინილება, რომელიც ავნებს სასწავლებელს და, მაშასადამე, სამღვდელოებასაც, რომელიც იძულებული იქნება შეინახოს სასწავლებელი თავის საკუთარ ხარჯით.“

8) შესახებ დრამის ფულის მოკრებისა კეთილშობილ სამრევლო პირთაგან.—„უარეყოს, რადგან ამაზე ერთხელ მოხდენილი მაქვს განკარგულება. დრამის ფული იკრიბება თვით მღვდლების მიერ წარდგენილ სიების მიხედვით, შეუძლიათ ამ სიებში შეიტანონ კეთილშობილნიც.“

9) გარდაცვალებულ მღვდლის თ. შვანგირაძის ქვრივ-ობლების შემწეობის დანიშვნის შესახებ, რომელიც განხილულ უნდა იქმნეს საბლალოჩინო კრებებზე.—„თანახმა ვარ.“

10) გაზეთ „შინაური საქმეების“ საგალდებულოთ გამოწერისა ეკლესიის ხარჯით „თანახმა ვარ.“

11. სამარხი კასსის შესახებ—„ამ ჟურნალის და წესდების პირი წარედგინოს სინოდის კონტორას განსახილველათ და ეთხოვოს ნებართვა შესახებ სამღვდელოების სახელმწიფო ჯამაგირიდგან ხვედრ ფულის დაკავებისა კასის სასარგებლოთ, თანახმათ კრების დადგენილებისა.“

12) სანთლის საწყობისა და მი ი განყოფილებების გახსნის შესახებ.—„საკით ი შესახებ განყოფილებების გახსნისა ხელ-ახლა გადაეცეს განსახილველ ათ მომავალ სამღვდელოების კრებას. ყოფ-ლმა კრებამ საჭიროთაც არ სცნო დაესაბუთებია თავის უარყოფა. ამ ნაირათ საქმე არ კეთდება.“

13) სასულიერო სასწაულებლის შენობის შეკეთების შესახებ ჟურნალი მისმა მეუფებამ დაამტკიცა.

კარგი, ყველგან კარგია.

რუსულიდან გადმოთარგმნილი.

(გაგრძელება.)

„გრწმანეს გულითა შენითა“ (რომაელ. 10 9) ეს სიტყვები გვიჩვენებენ ჩვენ, რომ „ურწმუნოება“ ბუდობს გულში და არა გონებაში, რაც გაფუჭებულია, ეს—კაცის ნებაა, ხოლო ეჭვები და გაუგებრობა აღიძვრიან გონებაში სულის მტრის მიერ მხოლოდ იმიტომ, რომ ურწმუნო გულს მისცეს შეძლება ამოეფაროს მათ და თავის ურწმუნოება განამართლოს, ქრისტე რომელმაც იცოდა „რა არის კაცში,“ ამბობს: „თქვენ არა გნებავს მოსვლად ჩემდა, რათა ცხოვრება გქონდეს“ (იოან. 5, 40). ურჩი, გაუტეხელი ნება უშლის კაცს საუკუნო ცხოვრების წყაროსთან მისვლას და ღვთის ძვირფასი ნიჭის მიღებას. დაწერილ არს, ,,გულითა გრწამს სიმართლედ‘‘ (რომ. 10, 10). ხორციელი, არ განახლებული გონება ეჭვებისთვის და საკითხებისვის ძლიერ მოხერხებული ნიადაგია, და რადგანაც ის სთვლის მათ პირველ ხარისხოვან საკითხებად, ამიტომ ის ფიქრობს, რომ მათ უნდა შეუდგე თანდათანობით.

განუახლებელმა კაცმა არაფერი არ იცის „გონების განახლებით შეცვლაზე“ (რომ. 12,2). და „არა შეიწყნარებს სულისა ღმრთისასა, რამეთუ სიცოფე უჩნს მას; და ვერ შემძლებელ არს ცნობად, რამეთუ სულიერად განიკითხვიან“ (1 კორ. 2,14).

ესე იგი, არ იღებს მას, რაც ღვთის სულისაგან არს, რადგანც სთვლის მას უგნურებად, და არ შეუძლია გაიგოს იგი, იმიტომ რომ სულიერად უნდა მას განსჯა, მაგრამ როცა გული, კაცის სიცოცხლის საშუალი წერტილი, ყოვლად დაფარული ადგილი, რომელთანაც მხოლოდ მარტო უფალი მიაღწევს,—როცა გული დაჯერებულია, მაშინ კაციც მთლად იცვლება და გონება სრულიად ახლდება და იწმინდება ყოველ ბოროტ ეჭვებისა და მსჯელობისაგან. ამიტომ, ეჭვები და საკითხები კი არ მიშლიდენ მე ცხოვრების მიღებას, ქრისტე იესოს მიერ წინ-დადებულს; როცა მე მთელ საქმეს ვთვლიდი მათზედ დამოკიდებულად სასტიკად ვცდებოდი, როგორც სცდებიან მილლიონნი სხვები, ,,რომელთაც ღმერთმან ამის სოფლისამან დაუბრმავა გონებანი ურწმუნოთანი, რათა არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა დიდებისა ქრისტესი, რომელი იგი არს ხატი ღვთისა უხილავისა‘‘ (2, კორ. 4, 4). უფალმა სრულიად არ მიაქცია ყურადღება არც ერთ ჩემ სუსტი გონების კითხვებს, რომლებიც მე მეჩვენებოდენ მეტად წარჩინებულად და ღრმა პატივის-ცემის ღირსად. იგი მოეპყრო მათ თვისი ყოვლის შემძლებელ ნებისაებრ და ერთ წუთში უკუ აყენა ისინი. მისთვის, რომელიც ,,აღიღებს კუნძულებს, როგორც მტვერს‘‘ (ისაია 40, 15), ეს არ იყო საძნელო.

მაშასადამე, არა ჩვეულებრივი ცვლილება, რომლის ძალით ჩვენ მკვდარნი შეცოდებითა ქრისტეს თანა განვცხოველდებით‘‘ (ეფეს. 2, 5), რომელიმე მსჯელობის ანუ თან და თან განვითარების შედეგი კი არ არის,—არა, ეს არის ყოვლის შემძლებელი ღვთის საქმე არის მოქმედება ,,მისი უზომო დიდების შემძლებლობისა‘‘ ჩვენ—მორწმუნებთა შორის, მოქმედება მისი ძლიერი ძალისა, რომელმან ჰქმნა ქრისტესთანა, რამეთუ აღადგინა იგი მკვდრეთით და დასუა მარჯვენით მისა ზეცათა შინა‘‘ (ეფეს. 1, 19, 20). ეს მოქმედება უცბად ხდება მათ შორის, ვინც ერწმუნება უფალს იესო ქრისტეს.

დავეფუძნები რა მხოლოდ საღვთო წერილზე, მე შემიძლია გადმოცემა ყველაფრისა, რაც შემემთხვა, და ამით მტკიცდება, რომ დაბადება არის დაწერილი სული წმიდის ჩაგონებით. ღვთის სიტყვის სინათლეზე ცხადად სჩანს, რომ ეს იყო მოქმედება სული წმიდისა, რომელიც ,,ამხილებს სოფელსა ცოდვისათვის, და სიმართლისათვის, და სასჯელისათვის‘‘ (იოან. 16, 8), მოწმობს ქვეყანაში მომკვდარზე, აღდგომილზე, ამაღლებულ და ქებულ-დიდებულ ქრისტეზე, რომელიც მჯდომარე არს მარჯვენით მამისა (1 ტიმ. 3, 16).

სარწმუნოების მეორე შესანიშნავი შედეგი ,,საწამებლად ღვთისა, რომელი სწამს ძისა მისისათვის'' (1 იოან. 5, 10), იყო სრული განთავისუფლება სულიერი სიმძიმისაგან, რომელიც აჭირებდა სამუდამო სევდად გადაქცევას, ანუ ეგრედ წოდებული ,,ნერვების სისუსტედ'' გადაქცევას,— რომელიც (ნერვების სისუსტე) ამ ჩვენ ძალმომრეობით საუკუნეში შეიქმნა საზოგადო სენად და რომლის მიზეზი სრულიად არ იციან მათ ვინც მით დაავადებულია. არ შეიძლება მშვიდობა იყოს იმ კაცის სულში, რომელიც დამყარებულია მხოლოდ მატერიალურ, მალე წარმავალ ნივთზე. ეს არის თვალსაჩინო და სრულიად დამაკმაყოფილებელი განმარტება მშვიდობისა, რომელიც სუფევს იმის სულში ვინც დამყარებულია ,,უცვალებელ'' ღმერთზე. სულიერ სიმძიმისაგან განთავისუფლება, რასაკვირველია, არ იყო უცები, რადგანაც მე ერთბაშად არ მისწავლია ყველაფერში უფალზე დამყარება, მაგრამ ცვლილება მაშინვე დაიწყო და ვითარდებოდა იმ დრომდი, სანამ სამუდამო შინაგანი მშვიდობა შეიქმნებოდა ჩემი სულის ჩვეულებრივ მდგომარეობად.

ერთი სიტყვით, მე გავიგე, რომ გამოსახსნელი მსხვერპლი იესო ქრისტესი ცოდვის ყველა შედეგებს ფარავს, სადაც უნდა გამოჩნდეს სულში, გონებაში თუ სხეულში. ცხოვნება მოცემულ არს მთელი კაცისთვის: გონებისა, სულისა და სხეულისთვის.

შემდგომ ჩემ მიერ აღწერილ შემთხვევისა (რომელიც, აქვე უნდა შევნიშნო, მორცხვობისა გამო, ანუ რომ სასაცილოდ არ ვჩვენებოდი ვისმეს მე ვმაცადინობდი საიდუმლოდ შემენახა) მე მომიხდა ლაპარაკი ჩემი საკუთარი ოჯახის წევრთან, საყვარელ ადამიანთან (მე ვხედავდი, რომ ისიც იმ სენით იტანჯებოდა, რომელიც წინაზე მე ისე ძლიერ მაწუხებდა) და მე პირველად ,,ვიქადაგე'' ქრისტეზე ვერ ვასრულობ აღვწერო, რა ძნელი იყო ჩემთვის ეს ქადაგება, თუმცა ის სულ რამდენიმე სიტყვიდგან შესდგებოდა: ,,შენ გეჭირვება უფალი იესო ქრისტე'' ამ სიტყვებს მოყვა სიჩუმე. მაგრამ ეს უბრალოდ და უშნოდ წარმოთქმული მოწმობა და საღვთო წერილიდგან რამდენიმე მუხლი, ალალბედად წაკითხული, იქმნენ მოხმარებულ სულისა მიერ წმიდისა, რომ გაეცოცხლებინა მეორე მკვდარი სული. ჩვენი ოჯახიდან კიდევ რჩებოდა ორი სული, რომელთაც უნდა ეცნოთ ქრისტე და ამ ორმა სულმაც ცოტა ხნის შემდგომ ჩვენი მხრით სრულიად ძალდაუტანებლად მიიღეს ქრისტე და სიბნელისაგან მის საკვირველ სინათლეში გადავიდენ.

ჩვენთვის დიდად მოულოდნელი იყო იმის შეტყობა, რომ არსებობდა რწმენა ცხოვნებისა,— მორწმუნეებს ენიჭებოდათ დაუყონებლივ და უსაცილოდ კურთხევა უფლისაგან, როგორც პირველი ნაყოფი წმიდანების სამკვიდრებლისა. ჩვენი წინანდელი სასულიერო-მეტყველთ განათლება გვეუბნებოდა იმას, რომ თუ ვინმე ატარებს ,,კეთილ ქრისტიანულ ცხოვრებას'' (ბევრი გზა დაბნეული სულები მეცადინობდენ ეტარებიათ ასეთი ცხოვრება იმის წინეთ, სანამ მიიღებდენ მას) ის, შეიძლება, იქმნეს ცხონებული, მაგრამ არავის არ შეეძლოა ეს ნამდვილად იცოდეს ,,განკითხვის დღემდი.''

მაგრამ კიდევ უდიდესი მოულოდნელობა იყო წინ. თუმცა ესეც დიდი ბედნიერებაა თვითონ იესო ქრისტეს სიტყვებიდგან ვიცოდეთ, რომ ,,რომელმან ისმინოს სიტყვანი მისნი და რწმენის მომავლინებელი მისი, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს სიკვდილისაგან ცხოვრებად'' (იოან. 5, 24), მაგრამ ეს ყველა არ იყო უფალი სახიერების გამოთვისის არ შეჩერდა მასზედ, რომ გამოგვიცხადა ჩვენ ჭეშმარიტება ქრისტეს მიერ შვილად წოდებისა და ჩვენი საუკუნო ცხოვრებისა; მან გვიჩვენა ჩვენ, რომ ჩვენი ვალია და ჩვენი უფლება დავიჭიროთ ადგილი მეურაცეოფისა—სიმდაბლისა ქრისტესთანა, რომელიც გამორებულ არს ამა სოფლიდან ყველა მის საქმეებიდგან და განზრახვიდგან, რადგანაც მთავართა ამის სოფლისათა უფალი იგი დიდებისა ჯვარს აცვეს'' (1 კორინ. 2,8). მან გვიჩვენა ჩვენ, რომ ქრისტემ მისცა თავი თვისი ცოდვათა ჩვენთათვის იმ განზრახვით, რომ გამოგვიხსნას ჩვენ სოფლისა ამის ბოროტისაგან, (გალატ. 1,4) და რომ ამა სოფელში გამოსყიდულთათვის ნება მისი (ქრისტესი) არს ის, რათა ისინი ,,[illegible] მას ბანაკს გარეშე და მიიღონ ყვედრება იგი მისი (ებრ. 13,13).

(შემდეგი იქნება).

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეუავა.**